№ 62 მარტი 21, შაბათი 1892 მარტი 21, შაბათი № 62


| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის მეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892

გაზეთი **„ივერია“** მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

---

**პროკოპი** და **გიორგი პეტრეს ძენი ბარისოვები, ეფემია ხუციევისა** და მღვდელი **სვიმონ ხახუტოვი** მეუღლით **მარიამითურთ** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა: პირველნი მამისას, მეორე ძმისას და მესამე სიმამრისა თვისისასა, მცხეთის ტაძრის მღვდლის **პეტრე გიორგის ძის ბარისოვისასა**, და სთხოვენ მობრძანდნენ სოფელს მცხეთას, 22 მარტს, მიცვალებულის გამოსვენებაზედ დასასწრებლად. (1—1)

---

ქართული თეატრი

კვირას, 22 მარტს,

ქართულ დრამატიულის დასის არტისტებისაგან

**მ. საფაროვის თაოსნობით წარმოდგენილი იქნება:**

## ორი ობოლი

დრამა 5 მოქ. და 6 სურათად, თარგ. ა. ვ. ცაგარლისა.

ამ წარმოდგენისათვის მოწვეულია არტისტი-ქალი

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, დიდებულიძისა,მანდენოვისა;ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, შათიროვი, საფაროვი, და სხვ.

ამ პიესაში პირველად გამოვლენ სცენაზედ ასალგაზდა არტისტი-ქალნი, დიდებულიძისა და მანდენოვისა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

## ახალი ამბავი

*** ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ ტფილისის საგუბერნიო მკურნალს ბ-ნს ი. ა. ზელინსკის განზრახვა აქვს მკურნალთა კრება მოახდინოს ტფილისში ხუნაგთან ბრძოლის საშუალების მისაღებადაო. ეს კრება გუშინ-წინ, 19 მარტს, მოხდა საგუბერნიო მმართველობის დარბაზში. კრებაზედ წაკითხულ იქმნა ოფიციალური ცნობანი იმის შესახებ, რამდენი კაცი მომკვდარა ხუნაგისაგან 1885 წლიდგან 1892 წლის 18 მარტამდე. აღმოჩნდა, რომ ხუნაგისაგან გარდაცვალებულთა რიცხვი ყოველ წლივ მატულობს. 1889 წ. გარდაცვლილა ხუნაგისაგან 50 კაცი, 1890 წელს—40 კაცი, 1891 წელს—117 კაცი და 1892 წლის 1 იანვრიდგან 18 მარტამდე ხუნაგით ავად გამხდარა 89 კაცი და 25 გარდაცვლილა. ამას გარდა, კრებაზედ დამსწრე მკურნალთა სთქვეს, რომ 1890 წლიდგან ხუნაგს გარდა სხვა გადამდები ავადმყოფობაც გაძლიერდაო. მაგალითებრ, 1892 წლის 1 იანვრიდგან 18 მარტამდე ტფილისში ყვავილით ავად გამხდარა 31 კაცი, ამათში 16 გარდაცვლილა, ჩუტყვავილით—20 კაცი, გარდაცვლილა—7, შავი სახადით—15, გარდაცვლილა—2 ð წითელით—6, გარდაცვლილა 1 კაცი.

მკურნალთა საზოგადოების კრებამ გადასწყვიტა, რომ ქალაქის მმართველობამ შემდეგს ღონისძიებას მიჰმართოს ხუნაგისა და სხვა გადამდებ ავადმყოფობის მოსასპობადაო:

1) დაარსებულ იქმნას ტფილისში განსაკუთრებული სამკურნალო ხუნაგიან და სხვა გადამდებ სენიან ავადმყოფთათვის. ამ სამკურნალოში დაინიშნოს 2 მკურნალი და 6 ფერშალი (ამათში 3 კაცი და 3 ქალი). სამკურნალოში გაკეთდეს სადეზინფექციო სადგური ავადმყოფთა ტანთსაცმელის წამლებით საპკურებლად.

2) დაარსებულ იქმნას საქალაქო სადეზინფექციო სადგური და დაენიშნოს 1 მკურნალი და 2 ფერშალი. მკურნალს დავალებული ჰქონდეს, თვალ-ყური ადევნოს გადამდებს ავადმყოფობას და ავადმყოფების ოთახისა, ტანთსაცმელისა და სახლის ავეჯის დეზინფექციას.

3) ავადმყოფთა წასაყვან-წამოსაყვანად შემოიღონ განსაკუთრებული ეტლები.

4) ქალაქის გამგეობამ კანონად დასდოს, რომ ძველი და ნახმარი ტანთსაცმელი ქალაქის სადეზინფექციო კამერაში წამლებით აპკურონ, დამლა დაასვან ნახმარ ტანთსაცმელს და სახლის ავეჯსა და ისე მისცენ გაყიდვის ნება.

5) მიღებულ იქმნას სავალდებულო წესი ხუნაგისა და სხვა გადამდებ ავადმყოფობისაგან მიცვალებულთა დასაფლავების შესახებ.

6) სასტიკად აეკრძალოთ რძისა და სხვა სანოვაგის გაყიდვა იმათ, ვის სახლშიაც ხუნაგი, ან სხვა გადამდები ავადმყოფობა აღმოჩნდება.

დასასრულ კრებამ გადასწყვიტა, წარუდგინოს მოსაზრებანი ამ ღონისძიების შესახებ ქალაქის საბჭოს და თუ საბჭომ იუარა ð არ იკისრა ამ ღონისძიებათა მიღება, მაშინ თვით კრებამ სთხოვოს ტფილისის გუბერნატორს, რომ მან ნება დართოს, ანსაკუთრებული კომისია შესდგეს, რომელიც კერძო შემოწირულებას მიჰმართავს ამ საქმისათვის საჭირო საშუალების შესაძენად.

*** გუშინ, 20 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე გაზ. „ნორ-დარის“ რედაქტორ-გამომცემლის, შუშის მცხოვრებელის სპანდარ ამინჯანის ძის სპანდარიანისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ 1890 წლის 30 იანვრის, მე-12 №-ში დაუბეჭდია ცენზურის მელიქ-მელრაბოვის მიერ ამოშლილი ოთხი სტრიქონიო. ბ-ნი სპანდარ სპანდარიანი იმითი მართლოულობდა თავს, რომ ... არ არის, შე ცენზორის მიერ ამოშლილი წერილი არც-კი მინახავს, პირიქით, სტამბაა ვალდებული, რომ ცენზორის მიერ ამოშლილი ადგილები ამონაწყობიდგან ამოიღოს და ისე დაჰბეჭდოს გაზეთიო. ოლქის სასამართლომ ბ-ნ სპანდარიანის მიერ ბრალის აყრა არ შეიწყნარა, დაადგინა, რომ სასჯელთა დებულების მე-1029 მუხლით რედაქტორ-გამომცემელია პასუხის-მგებელი, თუ ვინიცობაა ცენზორის მიერ წაშლილი ადგილები დაიბეჭდაო, და ამიტომ ზემოხსენებულის მუხლის ძალით სასამართლოში ოქმის წარმოების ხარჯი დააკისრა სპანდარიანს და ხუთი მანეთიც ჯარიმა განუწესა. ხოლო თუ ამ ფულის გადახდა ვერ შეიძლოს, ერთის დღით იქმნას პოლიციაში დაპატიმრებულიო.

*** მაისის თთვეში სამი სესსია მიდის ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებისა: ერთი სესსია გაემგზავრება დუშეთს, აქ დარჩება 7 მაისიდგან 15 მაისამდე და შემდეგ თიონეთში გადავა, სადაც 16-დგან 22 მაისამდე დაჰყოფს. მეორე სესსია მიდის თელავისაკენ, სადაც ამ ჟამადაც იმყოფება ოლქის სასამართლოს განყოფილება, და აქ გაარჩევს საქმეებს 1-დგან 11 მაისამდე. მესამე-კი შულავერში წავა, სადაც 7 მაისიდგან ამავე თთვის 22-მდე დარჩება.

*** მელიქსეთოვისაგან 6,000 მანათის ნივთეულობის ქურდები მეხუთე პოლიციის განყოფილების ბოქაულმა შეიპყრო. ქურდები ყოფილან: მელიქსეთოვთან მზარეულად ნამყოფი ვასილ ჯავაშვილი და რაჯის მცხოვრები მიხეილ ორდინაძე. გაჩხრეკის დროს ორივეს უპოვნეს მელიქსეთოვისაგან ნაქურდალი ოქროს და ვერცხლის ნივთები და 68 მანათი. საქმე გამომძიებელს გადაეცა.

*** ამ დღეებში განსაკუთრებულმა კომისიამ ტფილისის ხელოსანთა მოურავის ბ-ნ ნაუმენკოს თანდასწრებით გამოსცადა ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი მოწაფენი და სამს მო-

## ფელეტონი

### ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი.

(შემდეგი, იხ. „ივერია“ № 58)

### XVIII

აღბუღა ამბობს, ჩემს დროს ერთი თავ-ლაშქარი, „დიდი მოავე კაცი“ იყოო, ასაბიები ჰყავდა, ხშირად იპარავდა, ჩვენ ვიწყინეთ და-ესა-და ეს გავაჩინეთო. რა გააჩინეს?—„განაჩენი ძველსავე მივაყოლეთო“... მაგრამ ძველად პარვას რა ჰქონდა გაჩენილი? თავდაპირველად, როცა საგვარეულო ცხოვრება არსებობს, პარვას დანაშაულად მაშინ სთვლიან, თუ თავის გვარისეულს ჰპარვენ. სხვა გვარის კაცს რომ მოჰპარონ, დანაშაულად-კი არა, საქებურ და სავაჟკაცო საქმედ მიაჩნიათ. რადგანაც გვარის კაცის შურისძიებად აღება არ შეიძლება და ჩვეულებაც არ ჰყაბუ ლობს, გვარისეულის მპარავი გვარს უნდა მოსწყდეს და გარდიხვეწოსო. ამ აზრს ადგნენ ინდოელები, კელტები და ბევრნი სხვანიც[327]). ამას გარდა, პირვანდელ დროს პარვა განკერძოებული დანაშაული როდია, პარვას ზოგადი მნიშვნელობა აქვს და რა გზითა და საშუალებითაც უნდა მოიპოვოს კაცმა სხვის სასაქონლო, მპარავია, მხოლოდ-კი მოპოება უსამართლო იყოსო. ამიტომ მპარავს უწოდებენ იმასაც, ვინც ძარცვით, ცეცხლის წაკიდებით და ამ ნაირ უსამართლო ღონისძიებით სხვის სარჩოსაბადებელს იძენს[328]). საათაბაგოს საგვარეულო ხანა განვლილი ჰქონდა და სამართალი ყველა მპარავს სჯიდა, სულ ერთია მპარავი თავის გვარს მოპარავდა, თუ სხვისას. მაგრამ პარვის „განაჩენს“ მაინც ძველი ხასიათი შერჩა. ჯერ ესა, რომ სამართალი ბძანებდა, ზოგჯერ მპარავიც უნდა გარდიხვეწოს და ქვეყანას მოშორდესო. მეორედ კიდევ, იგივე სამართალი ზღვარს არა სდებდა პარვასა და სხვა დანაშაულს შორის: მპარავმა და მეკობრემ თანასწორად, ორკეცად გადიხადონ წანაღებიო (მუხ. ჲზ), ცხადად მპარავისა, მეკობრის და მეჯურმუცეს სისხლი არ არის, იმათი მოკვლა დაუსჯელად შეიძლებაო (მუხ. რჲე). თუმცა მპარავი, მეკობრე და მეჯურმუცე სხვა-და-სხვანი არიან, მაგრამ სამართალი-კი მათში განსხვავებას არა ჰხედავდა. შესანიშნავია, რომ საათაბაგოში პარვის განაჩენზე დიდი გავლენა იქონია რომაელებისა და ბიზანტიელების სამართალმა; აღბუღამ პარვის განაჩენი თითქმის სრულიად იმათ სჯულიდგან გადმოიღო. აი საბუთიც: ათაბაგი ადგენს—„ნაპარევისა პირველი ასე გაჩენილა და ასე იქმნას აწცა, რომ თუ ცხენი და რაგინდარა კაცმან მოიპაროს“, ორკეცად უზღოს პატრონსაო (მუხ. ჲგ). ასეთს გარდასახადს უჩენდა მპარავს რომაელებისა და ბერძნების სამართალიც[329]). სხვა ადგილას აღბუღა ამბობს—„კაცმან რაგინდარა მოიპაროს და გამოჩნდეს, ორნივე თვალნი დაეწვნენ ანუ ხელფეხნი დაეჭრასო“ (მუხ. რჲC). ბიზანტიაშიაც ღამით მპარავს თვალებსა სთხრიდნენ და ხანდახან ხელებსაც სჭრიდნენ[330]). მართალია, აღბუღა არ ამბობს, ყველა მპარავს თვალები დასწვან და ან ხელ-ფეხი დასჭრანო, მაგრამ ეს ხომ არ შეიძლებოდა და არც ბიზანტიაში ყოფილა ეგრე განაჩენილი. თვალთა დაწვას და ხელ ფეხთა მოჭრას საათაბაგოშიც მხოლოდ ღამით მპარავს და მრავალ გზის ქურდს უწესებდა სამართალი, უბრალო მპარავს-კი ორკეცად ახდევინებდა წანაღებსა. მხოლოდ მაჰმადიანთა სჯულმა დააწესა, ყოველ გვარ მპარავს ხელ-ფეხი დაეჭრასო[331]), მაგრამ საათაბაგოს სამართალსა საერთო არა ჰქონდა რა ამ სჯულთან და პარვის საქმე ისე დაადგინა, როგორც რომსა და ბიზანტიაში „პირველ გაჩენილ არს“...

ათაბაგი დასძენს, ღამე მპარავის მოკვლა შეიძლება დაუსჯელად, იგი მპარავი და მეკობრე სწორნი დამნაშავენი არიანო (მუხ. რჲე). რომაელებისა და სხვა ძველ ევროპიელების სამართალიც აწესებდა, პატრონს ნება აქვს მპარავი მოკლას, თუ პარვაზედ მიასწროო[332]). ხოლო ბიზანტიის სამართალი ღამე მპარავს და მეკობრეს ერთიერთმანეთის სწორ დამნაშავედ ჰხადიდა და ამბობდა, ორისავე მოკვლა შეუძლიან პატრონსაო[333]), და რადგანაც ათაბაგიც ასე ბჭობდა, მაშ ცხადია, პარვის განაჩენი რომაელებისა და ბერძნებისაგან შემოიღო. საყურადღებო კიდევ ისაა, რომ არც შემდეგ ასცდა ქართული პარვის საქმე უცხოელ სამართლის გავლენას. ვახტანგ სჯულ-მდებელმა მოსპო ნაპარევის ორკეცად დაურვება, რაიცა რომაელების duplum-ს შეადგენდა, და გააჩინა, ქურდობისა „საზღაური შვიდეული არისო“ (მუხ. რნდ). მაგრამ ახლად გაჩენილი „შვიდეული საზღაური“ ქართული არასოდეს არა ყოფილა, იგი მოსეს სჯულის წესს შეადგენდა[334]) და ჩვენმა დიდებულმა მეფემ ებრაელთა სჯულ-მდებელს მიჰბაძა. ერთის სიტყვით, არც საათაბაგოში და არც მთლად საქარ-

[327]) Совр. Об. и Др. Зак. II. 160. Зак. и Об. на Кав. I. 41—2.

[328]) Совр. Об. и Др. Зак. II. 156—7. ხევსურეთსა და თუშეთში ეხლაც პარვას განსხვავებული ხასიათი არა აქვს, Зак. и Об. на Кав. II. 120.

[329]) Зак. и Об. на Кав. I. 130.

[330]) *ibid.*

[331]) Зак. и Об. на Кав. II. 285.

[332]) Совр. Об. и Др. Зак. II. 27—8, 157.

[333]) Зак. и Об. на Кав. I, 130.

[334]) *ibid.*, 157.

წაფეს ოსტატობის მოწმობა მისცა და თორმეტს—ქარგლობისა.

*** კვირას, 22 მარტს, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია კავკასიის სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების კრება.

*** $189^{2}/_{3}$ სამოსწავლო წლიდგან კავკასიის დედათა გიმნაზიების მერვე კლასში სწავლა ორ-ორს წელიწადს იქნება ხოლმე.

*** გუშინ-წინ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-244 ვერსზედ იპოვნეს მატარებლისაგან გასრესილი გვამი ტფილისის მცხოვრებელის ისააკ მებალოვისა.

*** იმავე დღეს სადგურს თათლუში მიმავალის მატარებლიდგან გადმოხტა უბილეთო მგზავრი სეიდ-ოღლი და თავი გაიტეხა.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ერთს სადგურზე (სადგურის სახელი ჯერ ვერ შევიტყეთ) ორი მატარებელი დასჯახებია ერთმანეთს, რომლის დროსაც 7 ნავთის ქვაბი დაზიანებულა და კონდუქტორი სადრაძე დაშავებულა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მთავრობას გადაუდვია ასი ათასი მანათი კალიის გასაწყვეტად.

*** გამიჯნვა დაიწყება:

ქუთაისის ოლქის

სენაკის მაზრაში:

კონჩხაში—15 აპრილს, გორდინოლში—11 მაისს, კვიბიაში—15 აპრილს, [illegible] ლათში—15 აპრილს.

ზუგდიდის მაზრაში:

თეკლათში—გამიჯნვის საქმის გათავების შემდეგ დაიწყება: ქვალონსა, ხორვაშსა, ქორცხსა და დიდ-ხორსში.

ოზურგეთის მაზრაში:

გურიანთაში—15 ივნისს, ჩოჩხათში—15 აპრილს, ჯურუყვეთში—15 აპრილს, ჯუმათში—15 აპრილს, ლანჩხუთში—ჯუმათის გამიჯნვის შემდეგ, ნიგოითში—15 აპრილს, ჩიბათში—15 აპრილს.

ქუთაისის მაზრაში:

სვირში—15 აპრილს, სიმონეთში—15 აპრილს, სოფ. ბაღდადში—15 აპრილს, სადიმიტრაოში—15 სექტემბერს, შუბანში—სადიმიტრაოს გამიჯნვის შემდეგ, ტყიბულში—15 აპრილს, ნაღორევში—1 მაისს, ჰალას-თავში—ნაღორევის გამიჯნვის შემდეგ, დიმში—პერევისის გამიჯნვის შემდეგ, ჟონეთში—დიმის გამიჯნვის შემდეგ, ბანოჯაში—ჟონეთის გამიჯნვის შემდეგ.

შორაპნის მაზრაში:

პერევისში—15 აპრილს.

*** წმ. ნინოს დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოების საბჭო აცნობებს მშობელთა და ნათესავთ იმ ქალებისას, რომელნიც კანდიდატად იყვნენ ჩარიცხულნი სახელმწიფო ხარჯით მისაღებად, რომ რადგან ეს კანდიდატები 12 წლისანი გახდნენ, წესდების 65 მუხლის ძალით სახელმწიფო ხარჯით აღარ იქნებიან მიღებულნი. აი იმ ქალების სახელი და გვარი: 1) თულაშვილი ოლგა, 2) ჩიგოიძე ალექსანდრა, 3) აკალიშვილი ეკატერინე, 4) ტატიშვილი ელისაბედ, 5) იაგულაშვილი ანნა, 6) ციციშვილი ლიუდმილა, 7) თაქთაქიშვილი ეკატერინე, 8) დავრიშევი ელისაბედ, 9) ზავრიევი ელენე, 10) ჯაკახიშვილი მარიამნა, 11) მაჩაბელი სოფიო, 12) აბულაძე ალექსანდრა, 13) ბორისაშვილი თამარ, 14) ამილახვარი ელენე, 15) ამილახვარი მარიამ, 16) გურამიშვილი ოლღა, 17) ფალავანდიშვილი ოლღა, 18) ამირაჯიბი ოლღა, 19) ფანიაშვილი თამარ, 20) ტატიშვილი ნინო, 21) კუჩუკაშვილი თამარ, 22) ბაქრაძე ნინო, 23) ბახუტოვი ზინაიდა, 24) მიქაძე დარია, 25) კაგელაშვილი კლეოპატრა, აგრეთვე გამორიცხულნი არიან სიიდგან: 1) იმერლიშვილი, მღვდლის ქალი, და ნინო ფავლენიშვილი.

*** 19 მარტს სახელოსნო გამგეობის დარბაზში დურგალთა უსტაბაშის არჩევანი მოხდა. ამორჩეულ იქმნა მეორე გილდის ვაჭარი გალუმოვი.

*** ბარის ოსები: წარსულ კვირაში, ე. ი. ამ თთვის ათს, სოფ. ხუმელაგელებმა ქურდებს დაატოვებინეს ოთხი მოპარული ცხენი და ქურდებიც დაიჭირეს. ეს საქმე როგორ გამოირკვა: ერთს მაჰმადიანთ სოფელში მცხოვრებს ორს ოსს მოეპარათ ოთხი ცხენი და მოჰყვანდათ სოფ. შანაევში. ღამე ქურდებს გზა აერიოდათ და ზედ მოადგნენ სოფ. ხუმელაგას, ისეთ დროს, როცა ის-ის იყო ირაჟრაჟა. რასაკვირველია, ქურდებს სოფელი ეუცხოვათ და უგზო-უკვლოდ გააჩქარეს ცხენები შანაევის სოფლისკენ. ქურდები შენიშნა ორმა კაცმა ხუმელაგელებმა, დაიძახეს მდევარი, მდევარის ხმაზედ ქურდებმა გაქუსლეს, მაგრამ მდევრად რამდენიმე ცხენოსანი გამოუდგნენ და მალეც გაბაწრეს ქურდები, ნაპარევის ცხენებით. მეორე დღეს ქურდები ხუმელაგის მამასახლისმა წარუდგინა კავკავის მაზრის უფროსს.

*** პეტერბურგისა და მოსკოვის გაზეთები ამბობენ, რომ აზოვისა და შავის ზღვით საზღვარ-გარედ ფქვილის გატანის ნება-რთვა გამოცხადდაო, იმ პირობით-კი, რომ იქიდგან იმდენი ხორბალი მოიტანონ რუსეთში, რამდენსაც აქედგან ფქვილს გაიტანენო.

*** გადაწყვეტილია ზაქათალის ოლქისა და ტფილისის საბრეშუმო სადგურთა შეერთება. ზაქათალის ოლქის უფროსმა სთხოვა ტფილისის საბრეშუმო სადგურს, 14 გირვანქა ჭიის თესლი გამომიგზავნეთ სოფლის მცხოვრებთათვის დასარიგებლად და თესლის ფულს სახელმწიფო ხარჯთან ერთად მოვკრებ და გამოგიგზავნი[illegible] ტფილისის საბრეშუმო სადგურს ამ თხოვნის ასრულება ეძნელება თურმე („Н. О.“).

*** ტფილისში დიდი მითქმა-მოთქმაა ოქრო-ვერცხლეულის ვაჭრის ნ. გაკოტრების გამო. ნ. თავისი მაღაზია ნათესავს გადასცა და ვალებს აღარ იხდის. ნ. 100,000 მანათზედ მეტი ვალი აქვს. ამბობენ, რომ გაკოტრების წინად ნ. მოსკოვში დიდ-ძალი საქონელი იყიდა ნისიადაო („Н. О.“).

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობა აცხადებს, რომ გაზეთ „Кввказъ“-ის მე-71 №-ში დაბეჭდილი ამბავი, ვითომ სურამის გვირაბში რკინის გზის მატარებლები ორის თთვის განმავლობაში აღარ ივლის, ტყუილი არისო.

—

შეცდომის გასწორება. „ივერიის“ მე-60 №-ში საბიბლიოგრაფიო წერილის მესამე გვერდის პირველ სვეტის ბოლოდგან გადატანილია რამდენიმე სტრიქონი სხვა განყოფილებაში, სახელდობრ «მკურნალთა საზოგადოების კრება»-ში. ეს ადგილი უნდა წაიკითხოს ასე: „ამისთანა დრო აუღია საგნად ალექსანდრე ყაზბეგს, რომელსაც ზოგიერთი პატივცემული მწერლებიც-კი უსაყვედურებენ—ზომიერება არა გაქვსო, ე. ი. ვისაც აქებ, ისე აქებ, რომ ცამდის აგყავსო, და ვისაც აძაგებ, სულ დედამიწასთან გინდა გაასწოროო. ჩვენ ეს საყვედური სრულებით არ გვესმის. არ ვიცით, როგორ ზომიერების მქონე უნდა იყოს მწერალი, რომ სათაყვანებლად დაისვას გაგი ჩოფიკაშვილისთანა ადამიანი“.

## მთავრობის განკარგულებანი

გამორიცხულ იქმნა სიიდგან სიკვდილის გამო ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელე კონსტანტინე მაღალაშვილი.

თხოვნისამებრ დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ქუთაისის ოლქის სასამართლოს კანდიდატი ჩაჩიბაია.

გადაყვანილ იქმნა სალიანის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე კონსტანტინე შანავაძე ბოჟი-პრომისლის საფოსტო კანტორაში.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ჭყვიში** (ქუთ. მაზრა), 9 მარტი. რიონის მარცხენა მხარეზედ, ოც-და-ათი ვერსის მანძილზედ ქ. ქუთაისიდგან. აქაურობა ვაკეა. რიონი, მოდიდების დროს, გადმოდის თავისს ნაპირებიდგან და მთელს სოფელს მოივლის, რის გამო ჰაერი კაცის ჯანმრთელობისათვის აქ ცოტა მოისუსტებს. სოფლის მკვიდრთა შორის არ ურევია არც თავადი და არც აზნაური: სულ გლეხობაა და ორას კომლს აღემატება. უპირველესი ცხოვრების სახსარი აქაურებისათვის სიმინდია. ამბობენ, აქ ძველად ღვინის მოსავალიც კარგი იყოო, მაგრამ დღეს-კი პირის გასასველებელიც არავის მოსდის. მართალია, ზოგიერთებს აქვთ იზაბელას ვენახი, რომელსაც აქ „ადესის“ ვენახს ეძახიან, მაგრამ იმისგან გამოწურული ღვინო ჭის წყლისაგან არაფრით გაირჩევა. პურის თესვას არ მისდევენ, თუმცა კარგად ვარგობს. უფრო სიმინდის თესვას ეტანებიან და ბლომადაც მოსდით. ძნელად მოიპოვება იმისთანა კომლი, რომელმაც, რაც უნდ ცუდი მოსავლიანი წელიწადი შეხვდეს, ასი-ორასი ფუთი სიმინდი არ გაყიდოს ყოველ წელს. არიან იმისთანებიც, რომელნიც ოთხას ფუთამდის ჰყიდიან. სიმინდის ფასი აქ იგივეა, რაც დ. სამტრედიაში. ვაჭრებს გამართული აქვსთ სიმინდის მაღაზიები და რიონის საშუალებით აქედგანვე ჰგზავნიან ნავებით პირდაპირ ფოთში. სიმინდს ყიდულობენ განსაკუთრებით ბერძნები და, უნდა სიმართლე ვთქვათ, ძალიან სინიდისიერად: მოტყუება, საწონსარწყავის სიმრუდე, გარიგებულის ფასის მოკლება, რაც სხვა ვაჭრებს სჩვევია, მათგან არ შეიძლება. შარშანდელმა მთავრობის განკარგულებამ, რომლის ძალითაც სიმინდის საზღვარ-გარედ გატანა აღკრძალულ იქმნა, აქაურები ძლიერ დაალონა. ან როგორ არ უნდა დაღონებულიყვნენ, როცა ამ განკარგულებით ერთად-ერთი სახსარი ცხოვრებისა ხელიდგან ეცლებოდათ: სასო-მიხდილნი ყველა გამვლელ-გამომვლელს ეკითხებოდნენ მიზეზს ასეთის სასტიკ განკარგულებისას და როცა მთავრობამ ხელ-ახლად ნება დართო სიმინდის საზღვარ-გარედ გატანისა, მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

---

თველოში პარვის საქმეს თავისებურობა არა ჰქონია და იგი საქმე უცხოეთიდგან გადმოინერგა ქართულს ნიადაგზედ. ძნელი სათქმელია, თუ რად. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ეხლაც ჩვენს მთაში პარვა იშვიათი მოვლენაა, ხევსურს პარვისა თითქმის არა გაეგება-რა და ადათიც ამ დანაშაულის საზღაურს არ აჩენს... სხვაგან აგრე არ ყოფილა: ევროპაში ბევრი სამართალი საკუთარს საზღაურს ჰხმარობდა ნაპარევის გადასახდელად. მაგ., Русская Правда აჩენდა, საზღაური მრავალ გვარია, ხან მეტია და ხან ნაკლები სხვა-და-სხვა ნაპარევისათვისო [335]). ფრანგების Lex Salica და ბურგუნდიელების სამართალიც ამ აზრისა იყო. ბურგუნდიელები მეტად უდიერად და სასტიკად უფრო ქურის მპარავს ეპყრობოდნენ: დამნაშავემ ექვსი სოლიდი გადაიხადოს და თუ გადახდა არ შეუძლიან, მოპარულს ქორს გულ-მკერდი მიუშვიროს და ნისკარტით ამდენი და ამდენი ხორცი ამოაწიწკნინოსო [336]). საათაბაგოს მკვიდრნი-კი ყველა ნაპარევისათვის ორკეცს საზღაურს ჰხმარობდნენ და ეს საზღაურიც იმათის ჩვეულების ნაყოფი არა ყოფილა. შესანიშნავია კიდევ, რომ საათაბაგოში არც მრავალ გვარი პარვა იცოდნენ. თვით აღბუღა პარვაში მაგრე რიგად განსხვავებას არ ჰპოვებს და მხოლოდ ცხადად მპარავს და ცხენის ქურდს აღიარებს დიდ დამნაშავედ [337]). სხვაფრივ იყო ევროპაში: იქ სამართალი პირდაპირ ამბობდა, პარვა მრავალ ნაირია და მრავალ გზით შესაძლოაო.

როცა ვისმე ხელქვეითი, მაგ., ყმა სხვას რასმე მოჰპარავდა, „პატრონსა მისსა გავლენა მართებს, თუ არ შეაქცევინოს და არ გაუვლინოს“, პატრონმა ზღოსო, ამბობს ათაბაგი (მუხ. რლŪ.—ძარცვისათვისაც ასე იყო). ამ შემთხვევაშიაც საზღაური ორად უნდა შეეკეცა პატრონს. მაშასადამე, სამართალი მპარავ ყმასაც ლმობიერად ეპყრობოდა. სხვაგან ასე არ ყოფილა. ფრანგების Lex Salica მპარავ მონას დასაჭურისებას უჩენდა და მპარავ მონა-ქალზედ ამბობდა, გაწკეპლეთ, ას ორმოცი წკეპლა დაარტყითო [338]).

დამნაშავედ ითვლებოდა, ვისაც ნაპარევი გამოაჩნდებოდა [339]). ათაბაგის თქმით, თუ ნაპარევის მქონე ფიცით ვერ დაამტკიცებდა, მპარავი არ ვიცი და ჩემს ხელში იმის მეტი არ მოსულა, რაც გამომაჩნდაო, მაშინ ორკეცად უზღოს პატრონს, რასაც ედავებაო (მუხ. ჲდ). ამ ნაპარევის ცნობას მიაგავდა მპარაობის რამე მაგიერი საქმე. სამართალი აწესებდა, პატრონს დანაკარგი უნდა გამოუჩინონ და „მსგავსიერი საპოვნელო“ გამოართვანო. მაგრამ უკეთუ ვინმემ დაკარგული სასაქონლო დამალა და „უკანის-და გამოჩნდეს“, საპოვნელო არ ერგების,—„მპარაობის რამე მაგიერი საქმე იქნებისო“. რასაკვირველია, შეიძლებოდა ნაპარევის მქონეს „პირუტყვი დაემქლოს და გაეცუდოს“, ან არა-და, „თუ სასაქონლო იყოს, გაეცვითოს და გაექიროს“. მაშინ?—პირუტყვისა და საქონლის გარდა, ზარალიც ზღოს დამნაშავემაო. ამასთან სამართალი იმასაც ადგენდა, რომ ლაშქარში საპოვნელას აღება არ შეიძლება და „დამკარგავმან მრუდი არა დასწამოსრაო“ (მუხ. ჟგ).

საათაბაგოში დაწვაც განცალკევებულს დანაშაულს შეადგენდა. პირვანდელ დროს, როცა საგვარეულო წეს-წყობილება არსებობს, დაწვა ისეთივე დანაშაულია, როგორიც ძარცვა, პარვა და სამსავე ერთ ნაირი სასჯელი სძევს,—დამწველმაც ზარალი უნდა გადუხადოს პატრონს და გარდიხვეწოსო. ასე აწესებდა Руская Правда [340]). ეხლაც ამას აწესებს კავკასიონის მკვიდრთა ადათი [341]). ათაბაგი დამწველს გაძევებას არ უჩენს და მხოლოდ საპატიჟოსა და ზარალის დაურვებას სდებს სავალდებულოდ. საათაბაგოს სამართალი ორ გვარ დაწვას იხსენიებს,—ერთი დაწვა შეეხება ეკკლესიას და იმის სამამულო-სასაქონლოს, მეორე—კერძო კაცის საქონებელსა. პირველი დაწვა მეორეზედ უფრო მძიმეა. ანგარება და მტრობა ჰბადავდა ეკკლესიის და იმის სამამულო-სასაქონლოს დაწვას. ამას თითონ აღბუღა ამბობს—„რომელმანცა კაცმან... რასაგინდა ნივთიანსა საქმისათვის (ანგარება, корыстолюбie), დამტერებისათვის, სისხლისა და კალისა გარდახდისათვის“ დასწვას ეკკლესია, „რაცა ამის ეკკლესიისა დასაურვებელი ეწეროს და გაჩენილი იყოს, ორკეცი დაუურვოსო“ (მუხ. რჲთ.) მაგრამ ორკეცი დასაურვებელი არ კმაროდა, „მცირე“ იყო და დამწველს წანალები უნდა ეზღო და ამასთანავე „წმიდათა მოციქულთა და წმიდათა კრებათა კრულვა, წყევა და შეჩვენება“ ეზიდნა. ცხადია, რომ დაცემულმა ზნეჩვეულებამ შელახა თვით სარწმუნოებრივი გრძნობაც, რომელიც ოდესმე ძლიერი იყო საათაბაგოში. თუ რა ღრმად აღორძინდა ანგარება და სხვა უქვენაესი თვისება, ამას ამტკიცებს ის მოვლენა, რომ ეკკლესიას მარტო „იდუმალ“-კი არა, ცხადადაც სწვავდნენ, რიდი და შიში აღარ ჰქონდათ... სჩანს, თუ ყველა ეკკლესიას არა, ზოგიერთს მაინც საკუთარი „დასაურვებელი პატიჟი ეწერა და გაჩენილი ჰქონდა“. იქ, სადაც „ზე-

[335]) Калачевъ, 153—8, 197 и слѣд.

[336]) Беко, 137,139.

[337]) საქონლისა და ცხენის პარვა გერმანიელებსაც დიდ დანაშაულად მიაჩნდათ, Совр. Об. и Др. Зак. II. 158.

[338]) Беко, 142.

[339]) Руская Правда აჩენდა, რომ ნაპარევის შენახვისათვის შემნახველს ჯარიმა გარდახდეს „კნიაზის“ სასარგებლოდაო, Калачевъ, стр. 157.

[340]) *ibid*, 176—7.

[341]) Зак. и Об. на Кав. II. 300—1.

ქვიშელი გლეხი საზოგადოდ შეძლებულია. ძვირად ჰნახავ აქ გლეხს, რომელსაც ოდა არ ედგას. ოდის აშენება თითქმის ავადმყოფობადა აქვთ აქაურებს გარდაქცეული. იშოვნის ოცს, ოც-და-ხუთს თუმანს თუ არა, მაშინვე ეშურება ოთხ-ხუთ თვალიანის სახლის აშენებას.

დღემდის აქ ავ-კაცობას ვერ გაიგონებდით, მაგრამ ამ ბოლოს დროს ამ სენმა აქაც იჩინა თავი: კაცის დაჭრა, ქურდობა თანდათან ხშირდება. საჭიროა, სანამ ეს სენი ფესვებს ღრმად გაიდგამდეს, მის წინაალმდეგ საშუალების მიღება. რა არის ეს საშუალება, თუ არა სწავლა-განათლება და მოზარდ თაობის კარგს გზაზედ დაყენება. და აი სწორედ როცა ბოროტნი კაცნი იჩენენ თავსა, ცუდს ბოლოს უქადიან მთელს სოფელს, ამ დროს კიდევ ბედი უწყალო ხალხის ერთ გულს შვილს უთხრის სამარეს. წარსულის თთვის 26 შესრულდა ერთი წელიწადი მას აქეთ, რაც სიკვდილმა გამოაცალა ამ სოფელს ხელიდგან ერთი ახალგაზდა მასწავლებელი, ვ. ტაბიძე. განსვენებული იყო ადგილობრივის მღვდლის შვილი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში კურს-შესრულებული. ამას ჰქონდა ამ სოფელში თავის ხარჯით გამართული სკოლა და დიდის გულმოდგინებით ეწეოდა მასწავლებლობის უღელს. განსვენებული მეტად სამაგალითო ადამიანი იყო თავისის ხასიათით და სათნოებით. მისი მოღვაწეობა სამასწავლებლო ასპარეზზედ ყოვლად უანგარო იყო. მის გულში არც ერთხელ არ გაუვლია არც ერთს დაბალსა და ქვენა გრძნობას. ის იყო ავსილი მხოლოდ ერთის აზრით: თავის წვლილი შეეტანა გლეხ-კაცის განათლების საქმეში. გლეხებიც ჰხედავდნენ მის ასეთს ღირსებას და ამისათვის, რა დროსაც უნდა მისულიყავით მის სკოლაში, ყოველთვის სავსე იყო მოსწავლე ბავშვებით. განსვენებული სკოლაში მასწავლებლობას არ სჯერდებოდა. ყოველ კვირა-უქმე დღეს მოვიდოდა სასოფლოზედ და უკითხავდა ხალხს სხვა-და-სხვა ქართულ წიგნს, რომლითაც მდიდარი იყო მისი ბიბლიოთეკა. იმის სიკვდილს შემდეგ აგერ წელიწადი გავიდა და სოფელი უმასწავლებლოდ არის. ეს გარემოება დიდი უბედურებაა აქაურებისათვის. მართალია, არის სოფ. ტობანიერში, რომელთანაც ერთად ქვიში შეადგენს ერთს საზოგადოებას, სკოლა, მაგრამ ამ სკოლაში ქვიშიდგან ერთი ბავშვიც არ დაიარება, რადგან ჯერ ერთი, შორსაა და, მეორეც, ცუდი გზებია.

ი. სტ—ძე

# რუსეთი

„Новое Время“-ს ამ თთვის 4-ს ნომერში დაბეჭდილია ფელეტონი შემდეგის სათაურით: „გავლენა ინდოეთისა აღმოსავლეთის საქმეზედ“. ამ წერილში აღნიშნულია ყოველივე ვითარება ომისა, რომელიც მოსალოდნელია რუსეთს შეემთხვეს. უმთავრეს მოქიშპედ და მტრად რუსეთისა ავტორს წერილისას დასახული ჰყავს ინგლისი, რომელსაც, მისის აზრით, ეშინიან რუსეთის გაწევისა აღმოსავლეთისაკენ. წერილში მოყვანილია რამდენიმე ამბავი იმის დასამტკიცებლად, რომ ინგლისელები ყოველთვის სცდილობენ რუსეთის შესუსტებასა და ფრთის შეკვეცას. აქამდის ინგლისს არაფრად მიაჩნდა რუსეთი, რადგან ზღვაზედ ვერ ძალ-უძდა რუსეთს ინგლისთან გამკლავება, ხოლო ხმელეთით ძლიერ დაშორებული იყო. ეხლა-კი, როცა რუსეთმა შუა-აზიაში ადგილები დაიჭირა და თანდათან ინდოეთს უახლოვდება, ინგლისი საგონებელში ჩავარდა. ინგლისელების აზრით, ადვილად შესაძლებელია რუსები ინდოეთისკენ წავიდნენ, რადგან „კავკასია დამშვიდებულია, ოსმალეთი დარწმუნდა, მარტო ჩემით რუსეთს ვერ გავუმკლავდებიო, სპარსეთის ჩრდილოეთი პროვინციები რუსეთს უპყრია, ჩინეთსაც ეშინიან რუსეთისა და სხ.“ ამიტომ ინგლისელები მოწადინებულნი არიანო, ამბობს წერილის ავტორი: რომ რაც შეიძლება ეცადნენ, ჩაითრიონ რუსეთი ხათაბალაში რაშიმე გააბან და შემდეგ ომი აუტეხონ. თუ ერთი ნაბიჯიც არის კიდევ გადასდგა რუსეთმა ავღანისაკენ, მაშინვე ომი უნდა ავუტეხოთ და იმ დრომდე არ მოვეშვათ, ვიდრე სულ უკან არ დაიხევს და თავისს თოვლებს არ შეეფარებაო. აი, რა ნაირადა ჰსურთ ინგლისელებს რუსების ფრთების შეკვეცა. თუ გავიმარჯვეთო, ამბობენ ინგლისელები: უნდა რუსეთის დასავლეთს საზღვარზედ აღვადგინოთ პოლშის სამეფო რუსეთის ნაწილ პოლშისა, ლიტვისა და ვოლინისაგან, ოსტზეის მხარე გერმანიას შევუერთოთ და პოდოლია და რუმინია ავსტრიას მივცეთო. ეს უნდა მოახდინონ ინგლისელებმა, თავიანთის აზრით, ევროპაში, მაგრამ არც აზიაში უპირობენ სიკეთის დაყრას. იმიერ-კასპიის მხარე უნდა წაერთვას რუსეთსა და სპარსეთს ებოძოს. ამასთანავე სპარსეთს იმის უფლებაც მიეცემა, რომ კასპიის ზღვაზედ იაროს. კავკასიაც სრულიად უნდა ჩამოეცალოს რუსეთს და ამიერ-კავკასიაში ორი ცალკე თვით მმართველი სახელმწიფო დაწესდეს—ერთი ქრისტიანეთა სახელმწიფო და მეორე მაჰმადიანთა. რაც რუსეთმა თურქესტანში ადგილები დაიპყრო ინგლისელების განზრახვით, ისიც უნდა ჩამოჰბარდეს რუსეთს და ცალკე სახანოები დაარსდესო.

ამ აზრის განსახორციელებლად ინგლისელები აპირობენ ომის დაწყებამდე ჯერ ჩინელები წასჩხუბონ რუსეთსა და იმის მომხრე საფრანგეთს და ამასთანავე ყოველივე ღონისძიება იხმარონ, რომ სპარსეთი თავისთვის დარჩეს და საქმეში არ ჩაერიოს და სხ...

# უცხოეთი

**შვეცია-ნორვეგია.** შვეცია-ნორვეგიის მეფესა და ცალკე ნორვეგიის მთავრობას შორის ბრძოლა დაიწყო. ერი შვეციისა და ნორვეგიისა, რომელიც 1814 წელს აქეთ ძმურადა სცხოვრობს, ეხლა გულის ძგერით მოელის, აბა რით გათავდება მეფე ოსკარისა და ნორვეგიის მთავრობის ბრძოლაო.

იქით ორშაბათს ნორვეგიის სახელმწიფო საბჭოს ბჭობამ, რომლის დროსაც მეფე ოსკარი თავმჯდომარეობდა, დიდხანს გასტანა. რადიკალთა დასი, რომელიც ამ ჟამად მეთაურობს, ნორვეგიისათვის ცალკე დიპლომატიის დაწესებასა თხოულობს სამაგიეროდ აწინდელის შვეცია-ნორვეგიის საერთო დიპლომატიისა.

პირველში შვეციის მთავრობა წინაალუდგა ამ საქმეს, მაგითი 1814 წელს შვეციასა და ნორვეგიას შორის დადებული ხელ-შეკრულობა დაირღვევაო. მაგრამ ნორვეგიის რადიკალთა დასმა უკან აღარ დაიხია. შტენის სამინისტრომ, რომელსაც საზოგადოება სრულიად თანაუგრძნობს, პირდაპირ განაცხადა ასეთი თავისი სურვილი ზემოხსენებულ ბჭობის დროს. პირველმა მინისტრმა სთხოვა მისს უდიდებულესობას, მეფე ოსკარს, ნება გვიბოძეთ, რომ ნორვეგიის პარლამენტში წარვადგინოთ პროექტი ნორვეგიისათვის განსაკუთრებულ კონსულტატის დაარსებისაო. მეფე ოსკარს რომ უარი ეთქვა ამ თხოვნაზედ, სამინისტრო მაშინვე სამსახურიდგან გადადგებოდა, ხოლო შემდეგ შეუძლებელი შეიქმნებოდა სხვა სამინისტროს შედგენა, რომელიც შტენის აზრს უარ-ჰყოფდა, რადგანაც იმასაც უთუოდ მალე მოელებოდა ბოლო პარლამენტში. მეფე ოსკარმა ჭკვიანურად მოისაზრა ეს გარემოება და სწორედ ისე მოიქცა, რომ უკეთესად მოქცევა ამ შემთხვევაში მოუხერხებელი იყო: ნება მისცა ხსენებულის პროექტის წარდგენისა ნორვეგიის პარლამენტში, ხოლო ამასთანავე საბჭოს ოქმში შემდეგიც ჩააწერინა: ნებას რომ გაძლევთ მაგისას, ეგ იმას არა ჰნიშნავს, ვითომ საჭიროდ მიმაჩნდეს მაგ განცხადების განხორციელება; თუნდა პარლამენტმაც რომ შეიწყნაროს განზრახული პროექტი, მე მაინც ნება მექნება განვიხილო იგი საგანი ჩვენს ორს სამეფოს შორის დადებულ ხელ-შეკრულობის მხრივაო. მეფემ ამითი ის განუცხადა ნორვეგიელებს, რომ მე დამცველი ვარ ჩვენის კავშირისა და ნებას არ მივცემ ნორვეგიის მთავრობას, შვეციის მთავრობის დაუკითხავად, წინააღმდეგ 1814 წლის ხელშეკრულობისა, თავისით ცვლილება რამ მოახდინოსო, ე. ი. თუ ნორვეგიას ჰსურს თავისთვის ცალკე კონსულტატი დაიწესოს, ჯერ შვეციას უნდა მოურიგდეს ამის თაობაზეო. ხსენებული საგანი ძლიერ საყურადღებო და ორივ სამეფოს შესახები საგანია, 1814 წ. დადებულ ხელშეკრულების პირობასა სცვლის და ამიტომ განხილულ უნდა იყოს „შეერთებულს სახელმწიფო საბჭოში“, ე. ი. შვეციისა და ნორვეგიის მინისტრების მიერ ერთად.

რადიკალთა დასი წინააღმდეგია ამ აზრისა. ისინი იძახიან, თვით 1814 წლის ხელ-შეკრულობა ნებას აძლევს ნორვეგის მთავრობას, რომ განსაკუთრებით ნორვეგიისათვის საჭირო ღონისძიებანი იხმაროს ხოლმეო. ეს მართალია, მაგრამ განა ხსენებული საგანი მართლა განსაკუთრებით ნორვეგიის შესახები საგანია და აქ შვეცია არაფერს შუაშია? ნორვეგიის სამინისტრო ამბობს, ჩვენ მხოლოდ ცალკე ნორვეგიის კონსულტატის დაწესება გვსურს და არა საერთო შვეცია-ნორვეგიის კონსულტატის გაუქმებაო, მაგრამ ეს მხოლოდ სოფიზმია და სხვა არაფერი. ჯერ პირველში ისე გამოდის, ვითომ მართლა მხოლოდ განსაკუთრებით ნორვეგიის საქმე კეთდებოდეს, მაგრამ დაწესდება თუ არა ნორვეგიის ცალკე კონსულტატი, მაშინვე ახლა ის საგანი შეიქმნება გადასაწყვეტი, როგორ უნდა მოხერხდეს, რომ აწინდელი ერთობა შვეცია-ნორვეგიის კონსულტატებისა მოისპოსო.

ამ გვარადაა ამ ჟამად გამწვავებული საქმე შვეცია-ნორვეგიაში და ვნახოთ, რითი დაბოლოვდება.

**ავსტრია.** როგორც ამ დღეებში დეპეშამაც გვაუწყა, ჩეხიაში მანიფესტაციები მოახდინეს იმის გამო, რომ ავსტრიის მთავრობამ ნება არ მისცა 300 წლის იუბილეი ედღესა-

---

მო-ქცემოება“ ცხოვრების ქვა-კუთხედი იყო, ეკკლესიაც ვერ ასცდებოდა ღირსების მეტ-ნაკლებობას, და საყურადღებოა, რომ ეხლაც ამ აზრისაა ქართველი კაცი: ერთი ეკკლესია და ხატი უფრო მადლიანად მიაჩნია, ვიდრე მეორე, ზოგს ტაძარს დიდს პატივსა სცემს და ზოგს მცირეს. ასეთი აზრი ნაშთია იმ ძველის დროისა, როცა ფეოდალობა ეკკლესიის საძირკველს შეადგენდა. საათაბაგოშიაც ასევე იყო და ამიტომ აღბუღა ამბობს, ვინც საყდრის საქონებელს, სენაკს, აგარას *), მარანსა და სხ. „ცეცხლი შეუდოს“, „ვითარიცა ადგილი იყოს, სისხლი და პატიჟი გარდაიხადოს და დანაკლები უზღოსო“ (მუხ. რო). ნაჩვენები არაა, დამნაშავეს რამდენი სისხლი და პატიჟი უნდა გარდაეხადა—რაოდენობა ეკკლესიის პატივსა და დიდებაზედ იყო დამოკიდებული. ამას გარდა, არც ყველა ეკკლესიას მოეპოვებოდა სენაკი, აგარა, მარანი... დიდი ნივთიერი შეძლება უფრო სახელოვანს ეკკლესიას ჰქონდა და „დასაურვებელი პატიჟიც“ შეძლებისა და დიდებისადა გვარად იყო გაჩენილი. ერთს ადგილას აღბუღა ამბობს, ვინც „რასა გინდა საქმისა დამტერებისათვის საყდარსა და საყდრისა საქონელსა მალვით ანუ ცხადად ცეცხლი შეუდვას, დაწვას“, საყდარს პატიჟად ოც-და-თორმეტი თეთრი დაუურვოსო (მუხ. როა). აქ საპატიჟოს რაოდენობა პირდაპირ ნაჩვენებია და ეს გარემოება თითქოს არღვევს ზემოდ დადგენილს მთავარს აზრს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ოც-და-თორმეტი ათასი თეთრი შეადგენდა საპატიჟოს მხოლოდ იმ ეკკლესიისას, რომელსაც საკუთარი „დასაურვებელი პატიჟი არ ეწერა და გაჩენილი არა ჰქონდა“. ყოველს შემთხვევაში იგი საპატიჟო მაინც დიდი საზღაურია,—ღვთის მოსავს ათაბაგს ჰსურდა სასტიკის სასჯელით აღედგინა დაცემული სარწმუნოებრივი გრძნობა... ამიტომაც ათაბაგმა უმთავრესი ყურადღება ეკკლესიის დაწვას მიაქცია და კაცის „მოსახმარებელთა“ დაწვა მოკლედ და ბუნდად გადმოგვცა. იქ, სადაც „საყდრისა საქონებელთა, სენაკთა, აგარათა“ და სხ. დაწვა სწერია, იმან მხოლოდ ორიოდე სიტყვა ჩაურთო... „სხვათა კაცისასა მოსახმარებელთა“ დაწვის აღსანიშნავად. დამნაშავეს, „რომლისაცა საქმისათვის ქნას იგი საქმე (დაწვა), გარდახდეს... დანაკლები უზღოსო“ (მუხ. რო). კაცის საქონებელის დამწველიც ხელმძღვანელობდა „სისხლის მტერობით, გულის ტკივილით და მოვალებით“...

საათაბაგოს სამართალში ნაჩვენებია თითო-ოროლა ისეთი ბრალი, რომელიც ეხლაც იშვიათი არაა. იმ დროსაც სცოდნიათ „ცხადად ანუ იდუმალ“ სხვის ყანის გათიბა, ვენახისა და ნაყოფიერ ხეთა დაჭრა „სისხლისა გულის ტკივილისათვის“... (მუხ. რო). აღბუღა მარტო წყევითა და კრულვით იხსენიებს ბრალდებულს და სასჯელს არ უწერს, მაგრამ რატომ?... სცოდნიათ აგრეთვე პირუტყვის მოკვლა „ყანასა, ვენახსა, ბოსტანსა და რასაგინდა სავანოსა შიგა“. თუ პატრონმა განგებ შეუშვა პირუტყვი სხვის მამულში—„განგებ ეყოსო“,—პირუტყვის მოკვლა ბრალად არ დაედება კაცსაო. რად?—პირუტყვი განძრახ შეუშვა—„მტრობით იქნების“ და დავა უნდა გათავდესო. მაგრამ თუ „უმეცრად შესრული მოკლას, ნაწყენმა (მამულის პატრონმა) უზღოს შუათა დახედვითაო“. ზღვევა აი როგორ იცოდნენ: „თუ ხორცი პირუტყვისა პატრონმა წაიღოს, ნახევარი უზღოს, და თუ მამკვლელსა მისცენ, ერთობილი უზღოს, როგორაცა მეზობელთა დააფასონ“. შეიძლებოდა პირუტყვის ხორცი საჭმელად არ ვარგებულიყო, „უხამსი ყოფილიყო“. მაშინ?—ხორცს ნუ იანგარიშებთ — „არად შემოიღებისო“ (მუხ. ნგ).

თავისებური დანაშაულია ნაბჭობის სისხლის დაჭერა. დაჭერა იმას ნიშნავდა, როცა ვინმე სისხლს არ დაიურვებდა და ამით ბჭობას ძალასა და მნიშვნელობას უკარგავდა. ამ გვარი თვით-ნებლობა აზნაურების საქმე ყოფილა,—აღბუღა მარტო აზნაურის საკუთრებად სთვლის ნაბჭობის სისხლის დაჭერას: „თუ აზნაურმან კაცმან აზნაურს ნაბჭობის სისხლი დაუჭიროს, ათი ათასი თეთრი კიდევ სხვა დაუურვოსო“ (მუხ. რმ[illegible]). თუ ნაბჭობის სისხლის დაჭერა სააზნაურო დანაშაული იყო, ნიფხავ-პერანგის მოხდა ცნობილია საყოველთაო დანაშაულად. საათაბაგოში ბრძოლის ველზედ მოკლულს კაცს, აბჯარსა და ტანსაცმელს გარდა, ნიფხავ-პერანგსაც გახდიდნენ ხოლმე, ალბად თავიანთ სახმარებლად. აღბუღამ ეს ჩვეულება იწყინა და დაადგინა, „ბრძოლათა შინა მოკლულს ნიფხავ-პერანგს ნუ ვინ მოხდის“, თუ მოხადა, იყავნ „კრულ და შეჩვენებულ ღვთისა პირითაო“ (მუხ. რჲდ). რაკი ყმა ბატონის საკუთრებას შეადგენდა, უსამართლოდ პატრონისაგან ყმის წასვლაც სამართალს დანაშაულად მიაჩნდა,—უსამართლოდ წასულმა ყმამ თორმეტი გლეხი შეუკაზმოს პატრონსაო, ამბობს ათაბაგი (მუხ. რნ). არც ძალად მამულისაგან გაძევება მოსწონდა სამართალს: მოხდებოდა ხოლმე, რომ ვინმე ძმას ან მეყვისს საერთო მამულისაგან გააგდებდა. გაგდებულმა „რაგინდარა გარეთით აწყინოს“ გამგდებელს, „არ ეზღვების, არ მიეთვლების“, და როცა მამულში დაბრუნდეს, წესიერი საუწესო მიიღოსო (მუხ. მთ). არა სჩანს, რა იყო წესიერი საუწესო და არც ჩვენ ვიცით. რუსულად „безчестіе“-დ ნათარგმნია, მაგრამ ვერც ეს თარგმანი ჰშველის საგნის გაგებას.

ნ. ურბნელი

(დასასრული იქნება)

*) აგარა—სადგური საზაფხულო, ს. ს. ორბელიანი.

სწაულათ ჩეხის საერო სკოლებში. ამოს კომენსკი ჭეშმარიტი საერო მასწავლებელი იყო, მის მიერ შემოღებულს სწავლების წესს ამ ჟამადაც დიდს პატივსა სცემენ. იმავე დროს კომენსკი დიდი მამულის-მოყვარე კაცი, პატრიოტიც იყო და აი, სწორედ ამ გარემოებამ აიძულა ავსტრიის მთავრობა, რომ უნდობლად მოპკიდებოდა ჩეხების სურვილს კომენსკის იუბილეის გარდახდისას. ავსტრიის საერო განათლების მინისტრმა გაუჩმა ცირკულიარი დაუგზავნა ყველა სკოლას, 16 მარტს არავის ნებას არ გაძლევთ კომენსკის იუბილეის გარდახდისასო. ამასთანავე მინისტრმა მოსწავლეებს აუკრძალა ხსენებულს დღეს მეჯლისები, სადილებისა და კრებების მოხდენა-გამართვა.

ამ განკარგულებამ მინისტრისამ ძლიერ გაანაწყენა ჩეხები. „Narodni Listy“ მწუხარების კილოთი სწერს, ყოველს განათლებულს სახელმწიფოში უნდა გადიხადონ იუბილეი გამოჩენილის კომენსკისა, ხოლო თვით კომენსკის სამშობლოში აღგვიკრძალეს ყოველიფერიო.

აბა რაში ეპიტნავებოდა ავსტრიის მთავრობას ის კომენსკი, რომელიც სწავლებას სამშობლო ენაზედ ამყარებდა. ამ შემთხვევაში ავსტრიის მინისტრმა თავისს უფლებასაც-კი გადააჭარბა. ყოველს საქალაქოსა და სასოფლო სკოლას ნება აქვს თავის სურვილისამებრ გადაიხადოს ხოლმე ესა თუ ის დღესასწაული, მაგრამ მთავრობამ ამ ჟამად ძალ-მომრეობით შეჰზღუდა ეს უფლება. ამიტომაც «Narodni Listy» ჭეშმარიტის გულის წყრომით ულაღადებს მთელს ჩეხიის ერს, კომენსკის პატივსაცემლად კერძო დღესასწაულები, კონცერტები გამართეთ და მანიფესტაციები მოახდინეთ, ამას ხომ ვერავინ აღგვიკრძალავთო.

---

## გამოსადეგი ცნობანი

მექათმეთა საყურადღებოდ. ქათმების მოშენებას ჩვენს სოფლებში ბევრნი მისდევენ, მაგრამ აქამდე-კი არავითარს ყურადღებას არ აქცევენ ქათმის სკინტლს, თუმცა მუშტარი ბევრი გამოუჩნდება, ყველამ რომ იცოდეს, თუ რა დიდი გამაპატივებელია მიწისა და დაუმღურებულს, გამოფიტულს მიწას რა დიდად ნაყოფიერადა ჰხდის. სხვათა შორის, იმიტომ უფრო არ აქცევენ ყურადღებას, რომ სადა ჰკრიფოს ეს სკინტლი ადამიანმა, როდესაც ქათმები მთელი დღე აქეთ-იქით დაწრწიანო. მართალია, ყოველის სკინტლის მოკრება ძნელია, მაგრამ თუ მცირეოდენის მოკრება მაინც შეიძლება და ისიც სარგებლობას მოიტანს, რად უნდა დავკარგოთ უსარგებლოდ?! დღე-ღამეში ქათამი ორთა შუა რიცხვით ერთს ადგილას 10 და ხშირად 12 საათს ატარებს და სწორედ აი, ამ ხნით უნდა ვისარგებლოთ. ამ ხნის განმავლობაში თითო ქათამი დღეში $8^1/_2$ მისხალს მოსკინტლავს, წელიწადში-კი—30 გირვანქას. ასი ქათამი რომ გვყავდეთ, წელიწადში 90 ფუთს სკინტლს შევაგროვებთ, ამდენი სკინტლიკი 10 დღიურს მიწას ეყოფა გასაპატივებლად და ფუთი, სულ ცოტა, 1 მან. 25 კაპ. მაინც გაიყიდება. ამ გვარად, ფუთზედ ხუთი შაური ხარჯიც რომ ვი[illegible], რაც ძნელად მოსაპოვნელია,

100 ქათამი წელიწადში მარტო თავისის სკინტლით ცხრა თუმანს ფულს შეგვძენს. ამ საქმეს ხარჯი-კი დიდი არა უნდარა, საჭიროა მხოლოდ ორმო ამოსთხაროთ და იმაში მოუყაროთ ხოლმე თავი ქათმის სკინტლს. საქათმეს მაინც ხომ გაწმენდა უნდა, რადგან შეიძლება სკინტლისაგან სხვა-და-სხვა სენი გაუჩნდეთ ქათმებს, და რა გვენაღვლება, სანაგვეზედ გადაყრას, ორმოში ჩავყაროთ? დიდს შემოსავალს არ მოგვცემს, მაგრამ რასაც მოგვცემს, ისიც კარგია.

შემოდგომის ნაყოფის შენახვა. შემოდგომის ხილისა და საზოგადოდ მიწის ნაყოფის შესანახად საფრანგეთის ერთს მებოსტნეს შემდეგი საშუალება უხმარია: ერთხელ, კართოფილი უფუჭდებოდა თურმე, აიღო, დიდს კასრში რიგ-რიგად ჩააწყო და ყოველს რიგს ზემოდგან ფხვნილი კირი დააყარა. მთელი წელიწადი ასე ინახავდა და წარმოიდგინეთ იმისი გაოცება, რომ სულ არ წახდენია კართოფილი. ჭარხალი და სტაფილოც ამ საშუალებით საუცხოოდ შეინახა მთელს ზამთარს და გაზაფხულზედ ისე კარგად შენახული ამოიღო კასრიდგან, თითქოს ეს არის ეხლა მოუწყვეტიათ ბოსტანშიო. ასევე მოუხდა კირი ყურძენსა და შემოდგომის მსხალსა და კომშს. აქავე-კი უნდა დავსძინოთ, რომ კირი ისევე ნაგვიანევს ხილს და მიწის სხვა ნაყოფს უხდება, ნაადრევულსა და ზაფხულს მოსულს-კი ვერ იცავს დალპობისაგან.

ფუთკრის ნაბენს ძალიანა ჰშველის ერთი უბრალო საშუალება, რომელიც ტკივილს მაშინვე აყუჩებს: უნდა აიღოთ ახალად მოწყვეტილი ნიახური, გასრისოთ და იმისის წვენით დაჰზილოთ ფუტკრის ნაკბეხი, ხოლო თუ ისარია მწერის ნაკბენში დარჩენილი, ის-კი ამოიღოთ.

---

## დეპეშა

20 მარტი

**ბერლინი.** 19 მარტს. სტატს-სეკრეტარმა ბეტტიხერმა დღეს შესწყვიტა კრებანი რეიხსტაგისა.

პეტერბურგის ბირჟა, 17 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — ,, | 7, 92 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $156^1/_2$ | $158^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1, 15 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 237 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $219^3/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 198 | $198^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

---

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთს და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ყირიმსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

---


# განცხადებანი

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—30)

ქველგან!!!

საპონი ოლეო-ვაზელინი

როიალ-კონგო!

ახალი ამბავი!!!

სურნელოვანი წყლები

FIN DE SIÈCLE

და სხვა საპარფიუმერო და საკოსმეტიკო საქონელი

ფაბრიკისა

,,ვიქტორია რეგინსი''

ე. გოდლე და ამხ.

მოსკოვში.

(10—2)

# გამოვიდა და ისყიდება

სამეურნეო საზოგადოებასა და ზაქ. პეტრეს ძეს გრიქუროვთან **არჩილ დარეჯანაშვილის** მიერ შედგენილი წიგნები:

ა) ხეხილების დარგვა და მისი მოვლა, 15 სურათით, ფასი აბაზი.

ბ) Краткое наставленіе о размноженіи плодовыхъ деревъ и кустарниковъ съ 15 рисунками.

ფასი აბაზი.

(10—2)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 | თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუგიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

# ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| კედლის კალენდარი 1892 წ. მრავალის ცნობებით . . . | „ | 40 |
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად . . . . . . | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა . . . , . . . . . | 1 | 20 |
| იგივე, ყდით . . . . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . — . | „ | 80 |
| იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| იგივე, ყდით . . . . . . . | „ | 75 |
| ბნელი, მოთხრობა მელანიასი ([illegible]) . . — . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი შედგ. ვ. გუნიას-მიერ . . | „ | 45 |
| სასოფლო კალენდარი მისივე . . . . | „ | 10 |
| უბის წიგნი (მშვენიერის ყდით) მისივე . . . | „ | 50 |
| მაცი ხვიტია, მოთხ. ან. ფურცელაძისა . . . | „ | 05 |
| აბაკეზაძე გიორგი, მოთხრ. ილ. ფერაძისა . . . | „ | 15 |
| კრილოვის არაკები, ბეგისა . . . . | „ | 15 |
| დ. ბაქრაძე, ბიოგრაფიული წერილი . . . | „ | 05 |
| „ცდა“ III წ. . . . . . . | 1 | — |
| „სამი კომედია“ ავქ. ცაგარელისა . . . | „ | 60 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა . . . | „ | 25 |
| რამდენიმე ლექსი ცხელისა . . . . | „ | 15 |
| სამი ცელქი, მ. მღვიმელისა . . . . | „ | 20 |
| ქუწნი, მისივე . . . . . . | „ | 13 |